დანართი 1

სდასუ
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

<u>დამტკიცებულია:</u>

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

_____

_____

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება

2019

1. საბაკალავრო ნაშრომი არის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი, რომელიც სრულდება სწავლების დამამთავრებელ სემესტრში და მოიცავს 10 ECTS კრედიტს.
2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტი.
3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, შეიძლება დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და სფეროში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებით.
4. ერთსა და იმავე სემესტრში ერთი პირი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 5 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. გამონაკლისი დასაშვებია სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.
5. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია სისტემატური ზედამხედველობა გაუწიოს სტუდენტის მუშაობას, დაეხმაროს ნაშრომის გეგმის შედგენაში, უახლესი რელევანტური ლიტერატურის შერჩევაში. დაეხმაროს მას სამუშაო პროცესის გეგმიურად წარმართვაში, მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, გაუწიოს სათანადო კონსულტაციები.
6. ხელმძღვანელი ვალდებულია საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე სტუდენტს აუხსნას სამეცნიერო შედეგებისა და სამეცნიერო ლიტერატურული წყაროების გამოყენების წესი, კორექტული ციტირების პრინციპები, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები და მათი დარღვევით გამოწვეული შესაძლო შედეგები.
7. საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელობის კანდიდატის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებულ საკითხებზე სტუდენტს კონსულტაციას უწევს საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.
8. საბაკალავრო ნაშრომის თემას და ხელმძღვანელის კანდიდატურას განიხილავს სკოლის საბჭო სტუდენტის დამამთავრებელი სემესტრის დაწყებამდე და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
9. სტუდენტი ვალდებულია სწავლების დამამთავრებელ სემესტრში, სასწავლო პროცესის დასრულებამდე შესაბამისი სკოლის დეკანატში წარადგინოს დასრულებული საბაკალავრო ნაშრომი და ხელმძღვანელის დასკვნა.
10. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მიზნით, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, საბაკალავრო ნაშრომის წარდგენიდან 1 კვირის ვადაში ინიშნება რეცენზენტი.
11. რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი / მოწვეული სპეციალისტი ან სხვა უსდ-ს აკადემიური პერსონალი.
12. საბაკალავრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და სფეროში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებით.
13. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენა ხდება პროგრამის მოთხოვნების შესრულების, ხელმძღვანელის დადებითი დასკვნისა და რეცენზენტის შეფასების (მინ. 31 ქულა; მაქს. 60 ქულა) საფუძველზე, მინიმალური გამსვლელი ქულის (31 ქ.) დაგროვების შემთხვევაში.

14. ხელმძღვანელის დასკვნაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაშრომის აქტუალურობაზე, პრაქტიკულ ღირებულებაზე, მონაცემთა სარწმუნოობაზე, გამოყენებული ლიტერატურის რელევანტურობაზე, სტრუქტურაზე, აკადემიურ სტილზე და საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებულ სხვა მოთხოვნებზე.
15. ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია ნაშრომს უბრუნებს სტუდენტს ხელმძღვანელის შენიშვნების გათვალისწინების მიზნით. ხელმძღვანელი ვალდებულია კონკრეტულად მიუთითოს ის ნაკლოვანებები, რაც გახდა ნაშრომზე უარყოფითი დასკვნის მიზეზი.
16. ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის გაცნობიდან სამი დღის ვადაში, სტუდენტს შეუძლია განცხადებით მიმართოს სკოლის დეკანატს ხელმძღვანელის დასკვნის გასაჩივრების მიზნით. საკითხს განიხილავს სკოლის საბჭო. სკოლის საბჭო სტუდენტის საჩივრის განხილვის შემდეგ ან იზიარებს ხელმძღვანელის დასკვნას, ან დამატებით გამოყოფს ექსპერტს.
17. რეცენზენტი ვალდებულია ნაშრომის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში შესაბამისი სკოლის დეკანატში წარმოადგინოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასება.
18. სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს რეცენზენტის შეფასებას საბაკალავრო ნაშრომის დაცვამდე.
19. რეცენზენტის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, შეფასების გაცნობიდან სამი დღის ვადაში სტუდენტს შეუძლია განცხადებით მიმართოს სკოლის დეკანატს შეფასების გასაჩივრების მიზნით. საკითხს განიხილავს სკოლის საბჭო. სკოლის საბჭო სტუდენტის საჩივრის განხილვის შემდეგ ან იზიარებს რეცენზენტის შეფასებას ან დამატებით გამოყოფს რეცენზენტს. იმ შემთხვევაში თუ მეორე რეცენზენტის შეფასებითაც არ გროვდება საჯარო დაცვაზე გამსვლელი ქულა, სტუდენტს უფორმდება შეფასება „F“.
20. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება რექტორის მიერ დანიშნულ ვადებში საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის წინაშე. კომისიის შემადგენლობაში შედის მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.
21. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 31 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. ნაშრომი ჩაითვლება დაცულად თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

ა) თავფურცელი;
ბ) ანოტაცია
გ) შინაარსი (სარჩევი)
დ) შესავალი
ე) ტექსტის ძირითადი ნაწილი
ვ) დასკვნა
ზ) გამოყენებული ლიტერატურა
თ) დანართები

საბაკალავრო ნაშრომის არქიტექტონიკა

თავფურცელი - ნაშრომის სატიტულო პირველი გვერდი, რომელიც ივსება მკაცრად განსაზღვრული წესით: ფურცლის ზედა შუა ნაწილში იწერება – ,,საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი"; 2–3 სანტიმეტრის ინტერვალით იწერება სტუდენტის სახელი და გვარი სრულად, სახელობით ბრუნვაში; ფურცლის შუა ნაწილში იწერება ნაშრომის სახელწოდება ბრჭყალების გარეშე; ნაშრომის სახელწოდების შემდეგ იწერება საბაკალავროპროგრამის დასახელება, კოდი და საძიებელი ხარისხი; მარჯვენ ქვედა მხარეს მიეთითება ხელმძღვანელის სახელი და გვარი, აკადემიური თანამდებობა და/ან აკადემიური ხარისხი; ქვედა შუა ნაწილში იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი (ქალაქი) და წელი (სიტყვა ,,წელის" გარეშე);

ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - მოკლედ და გასაგებად უნდა ასახავდეს ნაშრომის თემის აქტუალურობას, მიზნებსა და ამოცანებს, კვლევის ობიექტს, ძირითად შედეგებს. **ანოტაცია** უნდა შეიცავდეს ნაშრომის ავტორის ინიციალებს და გვარს, ნაშრომის სახელწოდებას. ქართულ ენაზე შესრულებული ანოტაცია არ უნდა აღემატებოდეს 100 სიტყვას. ანოტაციები განთავსდება ერთი მეორის მიყოლებით თავფურცელის შემდეგ;

შინაარსი **(სარჩევი)** – თანმიმდევრულად უნდა ასახავდეს ნაშრომის თავების და ქვეთავების ზუსტ სახელწოდებას მათი საწყისი გვერდების ნომრის მითითებით მარჯვენა მხარეს.

შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილი, რომელიც ასახავს ნაშრომის თემის აქტუალურობის დასაბუთებას, მიზნებსა და ამოცანებს, კვლევის ობიექტის ფორმულირებას, გამოყენებულ მეთოდოლოგიას და მატერიალურ–ტექნიკურ ბაზას. შესავლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2–3 გვერდს;

ტექსტის ძირითადი ნაწილი – შედგება თავებისა და ქვეთავებისგან. თავები უნდა დაინომროს თანმიმდევრულად. ქვეთავებს წინ დაესმის თავისა და ქვეთავის ნომერი. ნაშრომის თავებისა და ქვეთავების ნომრები მათი სახელწოდებებისაგან უნდა გამოიყოს წერტილით. საილუსტრაციო მასალა (ცხრილები, სქემები და სხვ.) ძირითად ტექსტში უნდა განთავსდეს შესაბამისი ნუმერაციით და

დასათაურებით. დამატებითი საილუსტრაციო მასალა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას დანართის სახით.

დასკვნა - საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი ნაწილი, რომელიც მოკლედ და კონკრეტულად პასუხობს დასახულ მიზნებს და ამოცანებს. დასკვნაში აისახება მიღებული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პრსპექტიული გამოყენების სფერო;

გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფიული ნუსხა) - წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე და ბოლოს ინტერნეტ და სხვ. რესურსები. ნუსხაში უნდა მიეთითოს:
პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები; ნაშრომის სახელწოდება; სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება; წელი; ტომი; გამოცემის ნომერი; ნაშრომის საწყისი და ბოლო გვერდები.
წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები; ნაშრომის სახელწოდება; გამოცემის წელი; გამოცემის ადგილი; გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა.
ინტერნეტ-რესურსის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორი; ვებ-გვერდის მისამართი; მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით; მასალის მოძიების თარიღი.
ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები; სტატიის დასახელება; წელი; ელექტრონული გამოცემის დასახელება; გამოცემის ნომერი; თავი და/ან ქვეთავი (იწერება ფრჩხილებში); ვებ-გვერდის მისამართი; მასალის მოძიების თარიღი.
ნორმატიული დოკუმენტის გამოყენების შემთხვევაში: დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი და სხვ.) დოკუმენტის დასახელება შესაბამისი ნომრისა და წლის მინიშნებით; რესურსის დასახელება, სადაც მო-ძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი, გამოცემის წელი და ადგილი.
გამოყენებული ლიტერატურის მითითებისას (ციტირება, პერიფრაზი და სხვ.) უნდა დაიწეროს სქოლიოს ნომერი, ბიბლიოგრაფიიდან შესაბამისი ნაშრომის ნომერი და გვერდ(ებ)ი; სქოლიო შესაძლებელია დაიწეროს როგორც შესაბამის გვერდზე ძირითადი ტექსტის ბოლოს (ამ შემთხვევაში სქოლიო ინომრება მოცემულ გვერდზე არსებულ სქოლიოთა რიგითობის და რაოდენობის შესაბამისად).

დანართები (ცხრილები, სქემები, სხვა საილუსტრაციო მასალა) – სარჩევში მიეთითება არსებობის შემთხვევაში და არ შედის ძირითადი ტექსტის შემადგენლობაში.

მოთხოვნები საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების თაობაზე

ნაშრომი სრულდება A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე, ნაშრომის მოცულობაა 35 – 50 გვერდი, შრიფტი – ”სილფაენი”, შრიფტის ზომა - 12 (ნაშრომის სახელწოდების შრიფტის ზომა – 18, თავების – 16, ქვეთავების - 14), სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები: მარცხენა – 3 სმ., მარჯვენა – 1 სმ.; ზედა და ქვედა – 2,5 სმ; ნაშრომის ყოველი თავი უნდა იწყებოდეს ახალი ფურცლიდან; თავსა და ქვეთავს შორის დაშორება - 2 სმ.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რეცენზენტის შეფასებისა (მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. მინიმალური დადებითი შეფასება მაქსიმალური შეფასების 51 ქულაა. მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულის (FX) შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება. დამატებითი დაცვა დაინიშნება ძირითადი დაცვიდან არანაკლებ 5 დღეში. მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულის (F) მიღების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები საბაკალავრო ნაშრომის დაცვას აფასებენ ინდივიდუალურად დანართი 2-ის მიხედვით. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის შეფასების და კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულის ჯამს და ფორმდება შესაბამის უწყისში (დანართი 3), რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა.

რეცენზენტის მიერ ფასდება შემდეგი კომპონენტები

1. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება - 10 ქულა;
2. საბაკალავრო ნაშრომში მიზნების და შედეგების ასახვა და მათი ერთმანეთთან შესაბამისობა - 20 ქულა;
3. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა, განხილული საკითხების შესაბამისობა ნაშრომის თემასთან - 20 ქულა;
4. საბაკალავრო ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები - 10 ქულა.

აღნიშნულ შეფასებებს რეცენზენტი ასახავს შესაბამის უწყისში (დანართი 1)

საბაკალავრო ნაშრომის დაცვა

საბაკალავრო ნაშრომის დაცვას აფასებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდეს რეცენზენტი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვისას ფასდება შემდეგი კომპონენტები (დანართი 2):

1. ნაშრომის ძირითადი საკითხების და მიღებული შედეგების პრეზენტაცია - 20 ქულა;
2. პრეზენტაციის ვიზუალური და ვერბალური მხარე - 20 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულისა და რეცენზენტის შეფასების ჯამს (დანართი 3).

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

_____ სკოლა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: _____

201 _____ / 201_____ სასწავლო წელი
_____ სემესტრი

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების უწყისი N

საბაკალავრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტი: _____

თარიღი: “_____“ _____ 201 ____ წელი

კრიტერიუმი	**კომენტარი**	**ქულათა მაქს. რაოდენობა**	**შეფასება**
საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება (10 ქულა)	ნაშრომი გაფორმებულია წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, ენა და სტილი აკადემიური და დახვეწილია.	8-10 ქულა	
	ნაშრომის გაფორმება მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ენა და სტილი აკადემიურია.	5-7 ქულა	
	ნაშრომის გაფორმება დამაკმაყოფილებელია, ნაშრომში ვლინდება სტილისტური და ენობრივი ხარვეზები.	1-4 ქულა	
	ნაშრომის გაფორმება, ენა და სტილი არადამაკმაყოფილებელია.	0 ქულა	
საბაკალავრო ნაშრომში მიზნების და შედეგების ასახვა და მათი ერთმანეთთან შესაბამისობა (20 ქულა)	საბაკალავრო ნაშრომი სრულად ასახავს დასახულ მიზნებსა და შედეგებს. ნაშრომის მიზნები და შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან.	18 -20 ქულა	
	საბაკალავრო ნაშრომი ასახავს დასახულ მიზნებსა და შედეგებს. ნაშრომის მიზნები და შედეგები მეტწილად შესაბამისობაშია ერთმანეთთან.	13 -17 ქულა	
	საბაკალავრო ნაშრომი ასახავს დასახულ მიზნებსა და შედეგებს, ნაშრომის მიზნების და შედეგების შესაბამისობა ერთმანეთთან დამაკმაყოფილებელია.	7-12 ქულა	
	საბაკალავრო ნაშრომში არ არის სრულად ასახული დასახული მიზნები და შედეგები. ნაშრომის მიზნები და შედეგები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ერთმანეთთან.	1-6 ქულა	

	ნაშრომის მიზნები და შედეგები არ არის შესაბამისობაში ერთმანეთთან.	0 ქულა	
საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა, განხილული საკითხების შესაბამისობა ნაშრომის თემასთან (20 ქულა)	ნაშრომის სტრუქტურა აკმაყოფილებს საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. განხილული საკითხები სრულად შეესაბამება საკვლევ თემას.	18 -20 ქულა	
	ნაშრომის სტრუქტურა აკმაყოფილებს საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ნაშრომში განხილული საკითხები მეტწილად შეესაბამება საკვლევ თემას.	13 -17 ქულა	
	ნაშრომის სტრუქტურა აკმაყოფილებს საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ნაშრომში განხილული საკითხები ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას.	7-12 ქულა	
	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ნაშრომში განხილული საკითხები ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას.	1-6 ქულა	
	ნაშრომში განხილული საკითხები არ შეესაბამება საკვლევ თემას.	0 ქულა	
საბაკალავრო ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები (10 ქულა)	წარმოდგენილი დასკვნები სრულყოფილად დასაბუთებულია და თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონეა.	8-10 ქულა	
	წარმოდგენილი დასკვნები მეტწილად დასაბუთებულია და თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონეა	5-7 ქულა	
	დასკვნები ნაწილობრივ დასაბუთებულია, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ნათლად არ არის გამოკვეთილი.	1-4 ქულა	
	დასკვნები დაუსაბუთებელია და არ გააჩნია თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.	0 ქულა	
	მაქს. ქულათა ჯამი	60 ქულა	

რეცენზენტის ხელმოწერა: _____

მიღების თარიღი: “ _____ “ _____ 201 ____ წელი

სკოლის დეკანი: _____

ბ.ა.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

_____ სკოლა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: _____

201 _____ / 201_____ სასწავლო წელი
_____ სემესტრი

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების უწყისი
კომისიის წევრის შეფასება

საბაკალავრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი: _____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ჩატარების თარიღი: “ _____ “ _____ 201 ____ წელი

კრიტერიუმი	**კომენტარი**	**ქულათა მაქსიმალური რაოდენობა**	**შეფასება**
ნაშრომის ძირითადი საკითხების და მიღებული შედეგების პრეზენტაცია (20 ქულა)	მსჯელობა არგუმენტირებული და დამაჯერებელია პროფესიული ტერმინოლოგიის სრულყოფილი ფლობით, თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხები დამაჯერებელი და არგუმენტირებულია.	18-20 ქულა	
	მსჯელობა გამართულია პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია კარგად - საკითხის ცოდნის დემონსტრირებით. შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხები მეტწილად არგუმენტირებულია.	13-17 ქულა	
	მსჯელობა ნაკლებად არგუმენტირებულია. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია დამაკმაყოფილებლად. შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხები ნაწილობრივ არგუმენტირებულია.	7-12 ქულა	

	მსჯელობა არასრულია. პროფესიული ტერმინოლოგია და შედეგების განსჯა მწირია. შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხები ზედაპირულია.	1-6 ქულა	
	მსჯელობა არასაგნობრივია. შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხები არალოგიკური და არარგუმენტირებულია.	0 ქულა	
პრეზენტაციის ვიზუალური და ვერბალური მხარე (20 ქულა)	პრეზენტაციის ვიზუალური (სლაიდების დიზაინი და რაოდენობა, წარმოდგენილი ტექსტის მოცულობა, ლოგიკური გადასვლები და სხვ.) მხარე მაღალ დონეზეა. მეტყველება აკადემიური და დახვეწილია	18-20 ქულა	
	პრეზენტაციის ვიზუალური (სლაიდების დიზაინი და რაოდენობა, წარმოდგენილი ტექსტის მოცულობა, ლოგიკური გადასვლები და სხვ.) მხარე ეფექტურია. მეტყველება აკადემიურია.	13-17 ქულა	
	პრეზენტაციის ვიზუალური (სლაიდების დიზაინი და რაოდენობა, წარმოდგენილი ტექსტის მოცულობა, ლოგიკური გადასვლები და სხვ.) მხარე დამაკმაყოფილებლია. მეტყველება აკადემიურია.	7-12 ქულა	
	პრეზენტაციის ვიზუალური (სლაიდების დიზაინი და რაოდენობა, წარმოდგენილი ტექსტის მოცულობა, ლოგიკური გადასვლები და სხვ.) მხარე არასრულყოფილია. მეტყველებაში აღინიშნება ტერმინოლოგიური ხარვეზები.	1-6 ქულა	
	პრეზენტაციის ვიზუალური და ვერბალური მხარე არადამაკმაყოფილებელია.	0 ქულა	
მაქს. ქულათა ჯამი		40 ქულა	

კომისიის წევრის ხელმოწერა: _____

სკოლის დეკანი: _____ ბ.ა.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

_____ სკოლა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: _____

201 _____ / 201_____ სასწავლო წელი
_____ სემესტრი

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების უწყისი

სწავლების წელი: _____ კრედიტების რაოდენობა: _____ სტატუსი: _____

საბაკალავრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი: _____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები: _____

_____

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ჩატარების თარიღი: “ _____ “ _____ 201 ____ წელი

რეცენზენტის შეფასება (მაქს. 60 ქ.)	კომისიის წევრების შეფასებების საშუალო ქულა (მაქს. 40 ქ.)	რეცენზენტის შეფასებისა და კომისიის შეფასების ჯამი (მაქს. 100 ქ.)	კომისიის წევრების ხელმოწერები
1	2	3	4

სკოლის დეკანი: _____

ბ.ა.

შეფასების სისტემის განაწილების სქემა:

ქულების განაწილება	შეფასება
91-100	(A) ფრიადი
81-90	(B) ძალიან კარგი
71-80	(C) კარგი
61-70	(D) დამაკმაყოფილებელი
51-60	(E) საკმარისი
41-50	(FX) ვერ ჩააბარა (რაც ნიშნავს, სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის დასაცავად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება; ძირითად დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა).
0-40	(F) ჩაიჭრა (რაც ნიშნავს, სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი, სტუდენტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას და მას საბაკალავრო ნაშრომი თავიდან აქვს შესასრულებელი. სტუდენტი მომდევნო სემესტრში დასრულებულ ნაშრომს წარმოადგენს დასაცავად ზოგადად დადგენილი პროცედურის გავლით).